

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესაბამისი თანამშრომლის განკარგულებაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეციალური საშუალებების შენახვის, ტარებისა და გამოყენების წესი და სამსახურის შეიარაღებაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალების ნუსხა

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესაბამისი თანამშრომლის განკარგულებაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღისა და სპეციალური საშუალებების შენახვის, ტარებისა და გამოყენების წესი და სამსახურის შეიარაღებაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალების ნუსხა (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის (შემდგომში – სამსახური) შეიარაღებაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალების (შემდგომში – იარაღი) ნუსხას, სამსახურში იარაღის ბრუნვის წესს, ასევე სპეციალური საშუალებების შენახვის, ტარებისა და გამოყენების წესს.
2. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მნიშვნელობა.

თავი II. სამსახურში იარაღის აღრიცხვის, მიღების, შენახვისა და გაცემის წესი

მუხლი 2. სამსახურის შეიარაღებაში არსებული იარაღის ნუსხა

1. სამსახურის შეიარაღებაშია შემდეგი სახის ცეცხლსასროლი იარაღი:
 - ა) პისტოლეტი, რევოლვერი;
 - ბ) პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი.
2. სამსახურის შეიარაღებაშია ამ მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი ცეცხლსასროლი იარაღისათვის განკუთვნილი საბრძოლო მასალა.

მუხლი 3. იარაღის აღრიცხვაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეული და იარაღის აღრიცხვის ზოგადი წესი

1. იარაღის აღრიცხვას უზრუნველყოფს სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტი (შემდგომში – დეპარტამენტი).
2. სამსახურში იარაღის აღრიცხვა უნდა ასახავდეს სამსახურის შეიარაღებაში არსებული იარაღის ფაქტობრივ მდგომარეობას.
3. იარაღის სააღრიცხვო დოკუმენტებია: კომპიუტერული პროგრამების მონაცემები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ჟურნალები, ზედდებულები, ბარათი, უწყისები და სხვა დოკუმენტები, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება იარაღის ბრუნვის ოპერაციები.
4. კომპიუტერული პროგრამის მონაცემები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა ასახავდეს სამსახურში იარაღის ბრუნვის სრულ ინფორმაციას.
5. იარაღის სააღრიცხვო დოკუმენტების სწორად და სრულყოფილად შევსებაზე პასუხისმგებელია სახელმწიფო ინსპექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განსაზღვრული დეპარტამენტის თანამშრომელი (შემდგომში – პასუხისმგებელი პირი).
6. პასუხისმგებელ პირს გავლილი უნდა ჰქონდეს საცეცხლე მომზადების სპეციალური კურსები.

მუხლი 4. საწყობში იარაღის მიღება

1. საწყობში იარაღის მიღება ხორციელდება შემდეგ შემთხვევებში:

ა) სამსახურის მიერ იარაღის შესყიდვა;

ბ) სამსახურის მიერ იარაღის უსასყიდლოდ მიღება;

გ) სამსახურის შესაბამისი თანამშრომლის (შემდგომში – თანამშრომელი) მიერ იარაღის საწყობში დაბრუნება.

2. საწყობში იარაღის მიღებისას ივსება შემოსავლის ზედდებული (ფორმა №1). პასუხისმგებელი პირი შემოსავლის ზედდებულს ადგენს ორ ეგზემპლარად ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, რომელთაგან ერთი რჩება პასუხისმგებელ პირთან, ხოლო მეორე გადაეცემა სამსახურის ბუღალტრულ აღრიცხვაზე პასუხისმგებელ პირს. იმავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პასუხისმგებელი პირი შემოსავლის ზედდებულს ადგენს 3 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა იარაღის ჩამბარებელ თანამშრომელს, მეორე რჩება პასუხისმგებელ პირთან, ხოლო მესამე გადაეცემა სამსახურის ბუღალტრულ აღრიცხვაზე პასუხისმგებელ პირს.

3. შემოსავლის ზედდებულის შევსების სისწორე დასტურდება დეპარტამენტის უფროსის ხელმოწერით, რის შემდგომაც იარაღი ითვლება საწყობში მიღებულად.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შემთხვევაში, იარაღის საწყობში მიღება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. ამ შემთხვევაში, შემოსავლის ზედდებულში არ ივსება ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერის გრაფა. მიღება-ჩაბარების აქტის ერთი ეგზემპლარი ინახება შემოსავლის ზედდებულთან ერთად, პასუხისმგებელ პირთან.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში, იარაღის საწყობში მიღება ხორციელდება თანამშრომლის ან მისი უშუალო ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე. სამსახურებრივი ბარათი ინახება შემოსავლის ზედდებულთან ერთად, პასუხისმგებელ პირთან.

6. იარაღი საწყობში ბარდება განმუხტულ მდგომარეობაში. მჭიდის ჩაბარება უნდა მოხდეს ვაზნებისაგან თავისუფალ მდგომარეობაში.

მუხლი 5. იარაღის შენახვა საწყობში

1. იარაღის შესანახად გამოყენებული უნდა იქნეს სპეციალური ოთახი (საწყობი), რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს ხანძარსაწინააღმდეგო წესების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

2. საწყობის ფანჯრები და სავენტილაციო ღიობები აღჭურვილი უნდა იქნეს ძლიერი საკეტებით და ლითონის გისოსებით.

3. სასაწყობო სივრცე მოწყობილი უნდა იქნეს იარაღის შესანახი პირამიდებით/თაროებით/კარადებით.

4. საწყობში სახანძრო უსაფრთხოების პირობების დაცვისას დასაშვებია ელექტროგანათება. საწყობში ნავთის ფარნის, ლამპების, ჩირაღდნების, სანთლებისა და ღია ალით, აგრეთვე თხევადი საწვავის გამოყენებით გასანათებელი ხელსაწყოების გამოყენება დაუშვებელია.

5. საწყობში დაუშვებელია საწვავისა და სხვა აალებადი მასალის შენახვა.

6. საწყობში იარაღი ინახება განმუხტულ მდგომარეობაში, ცალკეული სახეობებისა და კატეგორიების მიხედვით.

7. დაუშვებელია ვაზნების ჰერმეტიკული დაგმანვის გახსნა განსაკუთრებული აუცილებლობის გარდა.

8. საწყობში თვალსაჩინო ადგილას გამოკრული უნდა იყოს იარაღის შენახვისა და დაცვის ამ მუხლით გათვალისწინებული წესები.

9. საწყობში შესვლის უფლება აქვთ:

- ა) სახელმწიფო ინსპექტორს, სამსახურის საგამომიებო დეპარტამენტის კურატორ სახელმწიფო ინსპექტორის პირველ მოადგილეს/მოადგილეს ან/და მათ მიერ უფლებამოსილ პირებს;
- ბ) დეპარტამენტის უფროსს;
- გ) პასუხისმგებელ პირს;
- დ) ამ წესის მე-6 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ პირებს, შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით;
- ე) ამ წესის მე-8 მუხლით გათვალისწინებული იარაღის ინვენტარიზაციის განხორციელებაზე უფლებამოსილ პირებს, შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით;
- ვ) სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) შესაბამის თანამშრომელს, სამსახურებრივი შემოწმების მიზნით;
- ზ) ამ წესის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ თანამშრომელს, იარაღის საწყობიდან გაცემისა და ჩაბარების მიზნით.

მუხლი 6. საწყობის გასაღების შენახვის წესი

1. საწყობის ყოველ ჯერზე დატოვებისას, პასუხისმგებელმა პირმა უნდა უზრუნველყოს კარის დაკეტვა გასაღებით და კარისათვის პირადი ლუქის დადება იმგვარად, რომ ლუქის დარღვევის გარეშე შეუძლებელი იყოს კარის გაღება.
2. პასუხისმგებელი პირი ვალდებულია საწყობის კარის გასაღები მოათავსოს მცირე ზომის სპეციალურ ყუთში და დაადოს პირადი ლუქი. პირადი ლუქი ინახება პასუხისმგებელ პირთან.
3. პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, საწყობის კარის ყოველი დაკეტვისას, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გასაღების დალუქული ყუთი შესანახად გადასცეს სამსახურის საგამომიებო დეპარტამენტის კურატორ სახელმწიფო ინსპექტორის პირველ მოადგილეს/მოადგილეს ან მის მიერ უფლებამოსილ პირს, რომელიც უზრუნველყოფს გასაღების შენახვას სათანადოდ დაცულ ადგილას.
4. პასუხისმგებელი პირის მიერ გასაღების ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირისათვის ჩაბარებისა და მისგან მიღების დროის შესახებ შესაბამისი აღნიშვნა კეთდება „საწყობის გასაღების მიღება-ჩაბარების ჟურნალში“ (ფორმა №2).
5. საწყობის გასაღების სხვა ეგზემპლარები მუდმივად ინახება დეპარტამენტის უფროსთან. დეპარტამენტის უფროსი ვალდებულია საწყობის კარის გასაღები მოათავსოს მცირე ზომის სპეციალურ ყუთში, დაადოს პირადი ლუქი და შეინახოს სათანადოდ დაცულ ადგილას. დეპარტამენტის უფროსი უფლებამოსილია გასცეს გასაღების თავისი ეგზემპლარი მხოლოდ გასაღების დაკარგვის შემთხვევაში, სამსახურის საგამომიებო დეპარტამენტის კურატორი სახელმწიფო ინსპექტორის პირველი მოადგილის/მოადგილის თანხმობით.
6. გასაღების დაკარგვის შემთხვევაში, საწყობის კარის გახსნა გასაღების მეორე ეგზემპლარით დასაშვებია კომისიური წესით, რის შესახებაც დგება სათანადო აქტი (ფორმა №3) შესაბამისი ხელმოწერებით.
7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ კომისიაში შედიან: სახელმწიფო ინსპექტორის პირველი მოადგილე ან ერთ-ერთი მოადგილე, დეპარტამენტის უფროსი, გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) თანამშრომელი და პასუხისმგებელი პირი.
8. გასაღებების დაკარგვისას საკეტები იცვლება დაუყოვნებლივ.

მუხლი 7. იარაღის გაცემა საწყობიდან

1. იარაღის საწყობიდან თანამშრომელზე გაცემა ხორციელდება თანამშრომლის სამსახურებრივი საჭიროების გათვალისწინებით.

2. იარაღის საწყობიდან გაცემა ხორციელდება სამსახურის ბალანსზე რიცხული იარაღის სარგებლობაში გადაცემის შესახებ სახელმწიფო ინსპექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე. ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი ინახება გასავლის ზედდებულთან ერთად, პასუხისმგებელ პირთან.

3. დაუშვებელია ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტში მითითებული იარაღის გარდა სხვა სახის ქონების გაცემა, თუ დამატებითი მოთხოვნა არ წარმოადგენს გასაცემი ძირითადი ქონების მაკომპლექტებელ მასალას ან აღჭურვილობას.

4. საწყობში იარაღის გაცემისას ივსება გასავლის ზედდებული (ფორმა №4). პასუხისმგებელი პირი გასავლის ზედდებულს ადგენს 3 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა იარაღის მიმღებ თანამშრომელს, მეორე რჩება პასუხისმგებელ პირთან, ხოლო მესამე გადაეცემა სამსახურის ბუღალტრულ აღრიცხვაზე პასუხისმგებელ პირს.

5. გასავლის ზედდებულის შევსების სისწორე დასტურდება დეპარტამენტის უფროსის ხელმოწერით, რის შემდგომაც თანამშრომელი უფლებამოსილია საწყობიდან გაიტანოს იარაღი.

მუხლი 8. იარაღის ინვენტარიზაცია

1. იარაღის ინვენტარიზაცია არის სამსახურის ბალანსზე რიცხული იარაღის, ასევე თანამშრომლებზე გაცემული საბრძოლო მასალის შემოწმება და მათი აღრიცხვის სისწორის დადგენა ბუღალტრული მონაცემებისა და ფაქტობრივი ნაშთების შედარების გზით.

2. იარაღის ინვენტარიზაციის მიზანს წარმოადგენს:

ა) იარაღის ფაქტობრივი ნაშთების დადგენა;

ბ) ისეთი იარაღის გამოვლენა, რომელთაც სამსახურისათვის არ მოაქვს სარგებელი;

გ) იარაღის შენახვის/დაცვის წესებისა და პირობების შემოწმება;

დ) იარაღის ფაქტობრივი ნაშთების შედარება სამსახურის სააღრიცხვო მონაცემებთან;

ე) წინადადებების შემუშავება იარაღის აღრიცხვისა და შიდა კონტროლის გასაუმჯობესებლად.

3. იარაღის ინვენტარიზაცია შეიძლება ჩატარდეს გეგმურად ან/და არაგეგმურად.

4. იარაღის გეგმური ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა არანაკლებ წელიწადში ერთხელ.

5. იარაღის არაგეგმური ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა:

ა) პასუხისმგებელი პირის შეცვლის შემთხვევაში – მხოლოდ მის პასუხისმგებლობაში არსებული იარაღისთვის;

ბ) ამ წესის მე-5 მუხლის მე-9 პუნქტითა და მე-6 მუხლით განსაზღვრული წესების დარღვევისას – დარღვევის ფაქტის გამოვლენისთანავე. ამ შემთხვევაში ტარდება მხოლოდ საწყობის ინვენტარიზაცია;

გ) ხანძრის ან სტიქიური უბედურებისას – ხანძრის ან სტიქიის შემდგომ;

დ) სახელმწიფო ინსპექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ სხვა შემთხვევაში და ფარგლებში;

ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევაში.

6. ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ გამოიცემა სახელმწიფო ინსპექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი.

7. ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ სახელმწიფო ინსპექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის გამოცემისთანავე, საწყობის კარზე ედება საინვენტარიზაციო ლუქი, ხოლო დასალუქი მოწყობილობა ინახება საინვენტარიზაციო კომისიის თავმჯდომარესთან. საინვენტარიზაციო ლუქის ახსნა უნდა მოხდეს მხოლოდ საინვენტარიზაციო კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობის თანდასწრებით.

8. ინვენტარიზაციის ჩატარების სხვა წესები განისაზღვრება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის

ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

9. ინვენტარიზაციისას დგება „საბიუჯეტო ორგანიზაციების პირველადი საბუღალტრო დოკუმენტებისა და სააღრიცხვო რეგისტრების ფორმების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის №449 ბრძანებით გათვალისწინებული შესაბამისი ფორმები.

მუხლი 9. იარაღის მოძრაობის აღრიცხვა

1. სამსახურში იარაღის მოძრაობის აღრიცხვა ხორციელდება „იარაღის (ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა) მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალში“ (ფორმა №5).

2. პასუხისმგებელი პირი ვალდებულია იარაღის ნებისმიერი მოძრაობის შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი სააღრიცხვო დოკუმენტის ამ წესის შესაბამისად შედგენის შემდგომ, დაუყოვნებლივ ასახოს იარაღის (ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა) მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალში.

მუხლი 10. იარაღის სააღრიცხვო დოკუმენტების აღრიცხვა და შეცდომის გასწორება იარაღის სააღრიცხვო დოკუმენტებში და სააღრიცხვო დოკუმენტების სარეგისტრაციო ჟურნალში

1. ამ წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული იარაღის მატერიალური სააღრიცხვო დოკუმენტები აღრიცხება „სააღრიცხვო დოკუმენტების სარეგისტრაციო ჟურნალში“ (ფორმა №6) და იკერება საქმეებად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. პასუხისმგებელი პირი ვალდებულია უზრუნველყოს სააღრიცხვო დოკუმენტების სარეგისტრაციო ჟურნალის წარმოება და იარაღის სააღრიცხვო დოკუმენტაციის საქმეებად შეკერვა.

3. ამ წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ იარაღის მატერიალურ სააღრიცხვო დოკუმენტებში და სააღრიცხვო დოკუმენტების სარეგისტრაციო ჟურნალში დაშვებული შეცდომის გასწორება ხორციელდება დეპარტამენტის უფროსის სახელზე პასუხისმგებელი პირის მიერ დაწერილი სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

4. პასუხისმგებელი პირი ვალდებულია შეცდომით მითითებული მონაცემი გადახაზოს იმგვარად, რომ იკითხებოდეს მისი შინაარსი.

5. შეცდომის გასწორება უნდა დადასტურდეს პასუხისმგებელი პირისა და დეპარტამენტის უფროსის ხელმოწერით, შეცდომის გასწორების თარიღის მითითებით.

თავი III. სამსახურებრივ-საშტატო იარაღის შენახვის, ტარებისა და გამოყენების წესი

მუხლი 11. სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება

1. სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სამსახურებრივ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად, აქვთ სამსახურის შემდეგ თანამშრომლებს:

ა) სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის კურატორ სახელმწიფო ინსპექტორის პირველ მოადგილეს/მოადგილეს;

ბ) სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსსა და მის მოადგილეს;

გ) სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის სამმართველოს უფროსს;

დ) სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროს გამომძიებელს;

ე) სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელს;

ვ) სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის ოპერატიულ მუშაკს;

ზ) სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის ექსპერტ-კრიმინალისტს.

2. სამსახურებრივ-სამტატო იარაღისა და მისი ტარების უფლების მისაღებად, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამშრომელი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს სისხლისსამართლებრივი დევნა;

ბ) გავლილი უნდა ჰქონდეს საცეცხლე მომზადების სპეციალური კურსები;

გ) უნდა ჰქონდეს ამ წესის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ პირთა თანხმობა.

3. სამსახურებრივ-სამტატო იარაღის ტარების უფლება დასტურდება თანამშრომლისათვის სამსახურებრივი უფლებამოსილების დასადასტურებლად გადაცემული პირადობის მოწმობით.

სახელმწიფო ინსპექტორის 2020 წლის 25 აგვისტოს ბრძანება №8 – ვებგვერდი, 26.08.2020წ.

მუხლი 12. სამსახურის ბალანსზე რიცხული სამსახურებრივ-სამტატო იარაღის თანამშრომლისათვის სარგებლობაში გადაცემა

1. სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის კურატორი სახელმწიფო ინსპექტორის პირველი მოადგილისათვის/მოადგილისათვის სამსახურის ბალანსზე რიცხული სამსახურებრივ-სამტატო იარაღის სარგებლობაში გადაცემაზე გადაწყვეტილებას იღებს სახელმწიფო ინსპექტორი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით, სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის კურატორი სახელმწიფო ინსპექტორის პირველი მოადგილის/მოადგილის მიმართვის საფუძველზე.

2. ამ წესის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ბ-ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული თანამშრომლისათვის სამსახურის ბალანსზე რიცხული სამსახურებრივ-სამტატო იარაღის სარგებლობაში გადაცემის მოთხოვნით თანამშრომლის უშუალო ხელმძღვანელი, გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) უფროსისა და სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის კურატორი სახელმწიფო ინსპექტორის პირველი მოადგილის/მოადგილის თანხმობით (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თანამშრომლის უშუალო ხელმძღვანელია სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის კურატორი სახელმწიფო ინსპექტორის პირველი მოადგილე/მოადგილე), მიმართავს სახელმწიფო ინსპექტორს.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრულ მიმართვას უნდა დაერთოს ამ წესის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტები.

4. სამსახურის ბალანსზე რიცხული სამსახურებრივ-სამტატო იარაღის ამ წესის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ბ-ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული თანამშრომლისათვის სარგებლობაში გადაცემა ხორციელდება სახელმწიფო ინსპექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

5. სამსახურის ბალანსზე რიცხული სამსახურებრივ-სამტატო იარაღი თანამშრომელს სარგებლობაში გადაეცემა სამსახურებრივი უფლებამოსილების პერიოდში, ტარების უფლებით, პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ. თანამშრომლის თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში, იგი ვალდებულია სამსახურებრივ-სამტატო იარაღი ჩააბაროს საწყობში, გარდა ამ წესის მე-18 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 13. თანამშრომლის საკუთრებაში არსებული იარაღისთვის სამსახურებრივ-სამტატო იარაღის სტატუსის მინიჭება და მოხსნა

1. ამ წესის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების საკუთრებაში არსებულ რეგისტრირებულ იარაღს სახელმწიფო ინსპექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით შეიძლება მიენიჭოს სამსახურებრივ-სამტატო იარაღის სტატუსი.

2. სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის კურატორი სახელმწიფო ინსპექტორის პირველი მოადგილის/მოადგილის საკუთრებაში არსებულ რეგისტრირებულ იარაღს

სამსახურებრივ-საშტატო იარაღის სტატუსი ენიჭება სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის კურატორი სახელმწიფო ინსპექტორის პირველი მოადგილის/მოადგილის მიმართვის საფუძველზე.

3. ამ წესის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ბ-ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული თანამშრომლის საკუთრებაში არსებულ რეგისტრირებულ იარაღს სამსახურებრივ-საშტატო იარაღის სტატუსი ენიჭება თანამშრომლის უშუალო ხელმძღვანელის მიმართვის საფუძველზე, გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) უფროსისა და სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის კურატორი სახელმწიფო ინსპექტორის პირველი მოადგილის/მოადგილის თანხმობით (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თანამშრომლის უშუალო ხელმძღვანელია სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის კურატორი სახელმწიფო ინსპექტორის პირველი მოადგილე/მოადგილე).

4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრულ მიმართვას უნდა დაერთოს ამ წესის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტები, ასევე თანამშრომლის საკუთრებაში არსებულ იარაღზე სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაცემული იარაღის რეგისტრაციის შესაბამისი მოწმობის ასლი.

5. თანამშრომლის თანამდებობიდან განთავისუფლების შემთხვევაში, თანამშრომლის საკუთრებაში არსებულ რეგისტრირებულ იარაღს ეხსნება სამსახურებრივ-საშტატო იარაღის სტატუსი.

6. ამ წესის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების საკუთრებაში არსებული რეგისტრირებული იარაღისთვის სამსახურებრივ-საშტატო იარაღის სტატუსის მინიჭება და მოხსნა რეგისტრირდება „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის თანამშრომლის საკუთრებაში არსებული იარაღისთვის სამსახურებრივ-საშტატო იარაღის სტატუსის მინიჭება-მოხსნის ჟურნალში“ (ფორმა №7).

7. თუ თანამშრომელს/პირს არ აქვს იარაღის ტარების უფლება, უფლებამოსილია მიმართოს სახელმწიფო ინსპექტორის ინდივიდუალური აქტით განსაზღვრულ პირს ამ წესის მე-18 მუხლით დადგენილი წესით, სამსახურებრივ-საშტატო იარაღის სტატუსის შემდგომ იარაღის დროებით შენახვასთან დაკავშირებით.

მუხლი 14. თანამშრომლის მიერ სამსახურებრივ-საშტატო იარაღის შენახვისა და ტარების წესი

1. თანამშრომელი პირადად არის პასუხისმგებელი სამსახურებრივ-საშტატო იარაღის დაცვისა და მოვლისათვის.

2. თანამშრომელი ვალდებულია იარაღი შეინახოს ისეთ მდგომარეობაში და პირობებში, რომელშიც უზრუნველყოფილი იქნება მისი დაცვა და უსაფრთხოება, გამოირიცხება გაუთვალისწინებელი (უნებლიე) გასროლა და იარაღთან მესამე პირთა დაშვების შესაძლებლობა.

3. დაუშვებელია თანამშრომლის მიერ:

ა) სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარება თანამშრომლისათვის სამსახურებრივი უფლებამოსილების დასადასტურებლად გადაცემული პირადობის მოწმობის გარეშე;

ბ) სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარება სამსახურებრივ-საშტატო იარაღის სატარებელი ბუდის გარეშე;

გ) სამსახურებრივ-საშტატო იარაღის საზოგადოებაში დემონსტრირება, საჭიროების არარსებობის შემთხვევაში;

დ) სამსახურებრივ-საშტატო იარაღის სხვა პირისათვის გადაცემა, გარდა ამ წესის მე-18 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

4. თანამშრომლის მიერ სამსახურებრივ-საშტატო იარაღის დაკარგვის, მისი მფლობელობიდან მართლსაწინააღმდეგო გზით გასვლის, ასევე იარაღის განადგურების შემთხვევაში, თანამშრომელი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ

შეატყობინოს სახელმწიფო ინსპექტორს, დეპარტამენტსა და გენერალურ ინსპექციას (დეპარტამენტი).

5. სამსახურებრივ-საშტატო იარაღის დაკარგვის ან განადგურების შემთხვევაში – თანამშრომლის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, ასევე უფლებამოსილი ორგანოს მიერ სამსახურებრივ-საშტატო იარაღის თანამშრომლის მფლობელობიდან მართლსაწინააღმდეგო გზით გასვლის ფაქტის დაუდგენლობის შემთხვევაში, გენერალური ინსპექცია (დეპარტამენტი) ახორციელებს სამსახურებრივ შემოწმებას და ადგენს შესაბამის დასკვნას.

6. სამსახურის ბალანსზე რიცხული იარაღის დაკარგვისას ან განადგურებისას თანამშრომლის ბრალეულობის დადასტურების შემთხვევაში, ასევე უფლებამოსილი ორგანოს მიერ სამსახურებრივ-საშტატო იარაღის თანამშრომლის მფლობელობიდან მართლსაწინააღმდეგო გზით გასვლის ფაქტის დაუდგენლობის შემთხვევაში, თანამშრომელი ვალდებულია აანაზღაუროს სამსახურისათვის მიყენებული ზიანი, რომლის ოდენობა განისაზღვრება შესაბამისი იარაღის თავდაპირველი ღირებულებით.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ხარჯების ანაზღაურება ხორციელდება თანამშრომლის შრომის ანაზღაურებიდან ერთჯერადად ან მრავალჯერადად გამოქვითვით.

მუხლი 15. სამსახურებრივ-საშტატო იარაღის გამოყენების წესი

1. ამ წესის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამშრომელი იარაღს იყენებს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე, 31-ე, 34-ე (გარდა პირველი, მე-2 და მე-11 პუნქტებისა) და 35-ე მუხლებით დადგენილი წესით.

2. თანამშრომელი ვალდებულია სამსახურებრივ-საშტატო იარაღის აქტიური გამოყენების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს უშუალო ხელმძღვანელს, გენერალურ ინსპექციას (დეპარტამენტი) და პროკურორს.

მუხლი 16. თანამშრომლისათვის სარგებლობაში გადაცემული სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ფლობის კონტროლი

1. ამ წესის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“-„ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული თანამშრომლისათვის სარგებლობაში გადაცემული სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ფაქტობრივი ფლობის კონტროლი ხორციელდება არანაკლებ თვეში ერთხელ, „იარაღის (ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა) აღრიცხვის უწყისის“ (ფორმა №8) შევსების გზით.

2. „იარაღის (ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა) აღრიცხვის უწყისის“ შევსებაზე პასუხისმგებელია სახელმწიფო ინსპექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირი.

3. იმ შემთხვევაში, თუ „იარაღის (ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა) აღრიცხვის უწყისის“ შევსებისას არ დადასტურდა თანამშრომლის მიერ მისთვის გადაცემული იარაღის ფლობა, სახელმწიფო ინსპექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს სახელმწიფო ინსპექტორს, დეპარტამენტსა და გენერალურ ინსპექციას (დეპარტამენტი).

4. სახელმწიფო ინსპექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გენერალური ინსპექცია (დეპარტამენტი) ახორციელებს სამსახურებრივ შემოწმებას და ადგენს შესაბამის დასკვნას.

5. თანამშრომლის ბრალეულობის დადასტურების შემთხვევაში, თანამშრომელი ვალდებულია აანაზღაუროს სამსახურისათვის მიყენებული ზიანი ამ წესის მე-14 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით დადგენილი წესით.

მუხლი 17. სამსახურის ბალანსზე რიცხული იარაღის დაზიანება

1. სამსახურის ბალანსზე რიცხული იარაღის დაზიანების შემთხვევაში, თანამშრომელი ვალდებულია პირველივე შესაძლებლობისთანავე სახელმწიფო ინსპექტორის სახელზე დაწეროს სამსახურებრივი ბარათი.
2. თანამშრომლის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე გენერალური ინსპექცია (დეპარტამენტი) ახორციელებს სამსახურებრივ შემოწმებას და ადგენს შესაბამის დასკვნას.
3. დეპარტამენტი უზრუნველყოფს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას იარაღის დაზიანების ხარისხის დადგენის მიზნით.
4. სამსახურის ბალანსზე რიცხული იარაღის დაზიანებაში თანამშრომლის ბრალეულობის დადასტურების შემთხვევაში, თანამშრომელი ვალდებულია ანაზღაუროს:
 - ა) სამსახურის ბალანსზე რიცხული იარაღის შეკეთების ხარჯი, ხოლო იარაღის გამოუსადეგარ მდგომარეობამდე მიყვანის შემთხვევაში, შესაბამისი იარაღის თავდაპირველი ღირებულება;
 - ბ) სამსახურის მიერ ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ ღონისძიებებზე გაწეული ხარჯი.
5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ხარჯების ანაზღაურება ხორციელდება თანამშრომლის შრომის ანაზღაურებიდან ერთჯერადად ან მრავალჯერადად გამოქვითვით.

მუხლი 18. სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლების შეჩერება

1. თანამშრომელს უჩერდება სამსახურებრივ საშტატო-იარაღის ტარების უფლება და ვალდებულია სახელმწიფო ინსპექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ პირს ჩააბაროს სამსახურებრივ-საშტატო იარაღი:
 - ა) სამსახურებრივი უფლებამოსილების „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „გ“-„თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძველით შეჩერებისას;
 - ბ) „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 55-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო ინსპექტორის 2020 წლის 6 მაისის №01/105 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობისას, სახელმწიფო ინსპექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირის ან/და უშუალო ხელმძღვანელის მოთხოვნის შემთხვევაში;
 - გ) საზღვარგარეთ მივლინების პერიოდში;
 - დ) „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო ინსპექტორის 2019 წლის 26 სექტემბრის №4 ბრძანებით დამტკიცებული წესის 42-ე მუხლის საფუძველზე თანამდებობიდან დროებით გადაყენების შემთხვევაში;
 - ე) „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) და საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში სამსახურის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო ინსპექტორის 2019 წლის 26 სექტემბრის №4 ბრძანებით დამტკიცებული წესის 51-ე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე დისციპლინური წარმოებისას სამსახურისთვის ჩამოშორების შემთხვევაში.
2. სამსახურებრივ-საშტატო იარაღის სახელმწიფო ინსპექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირისთვის ჩაბარებისას, ორ ეგზემპლარად დგება „შემცვლელი ბარათი“ (ფორმა №9). ერთი ეგზემპლარი რჩება სახელმწიფო

ინსპექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ პირთან, ხოლო მეორე – გადაეცემა სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ჩამბარებელ თანამშრომელს.

3. იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური გარემოების გამო (თანამშრომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვა), შეუძლებელია სამსახურებრივ-საშტატო იარაღის უშუალოდ თანამშრომლის მიერ ჩაბარება, სახელმწიფო ინსპექტორი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს სამსახურის თანამშრომელს, რომელიც უფლებამოსილია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირისათვის იარაღის შესანახად ჩაბარების მიზნით, გადაიტანოს სხვა თანამშრომლის იარაღი. ამ შემთხვევაში, იარაღის გადატანისას სახელმწიფო ინსპექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განსაზღვრულმა პირმა თან უნდა იქონიოს სსიპ – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ შესაბამის პირზე გაცემული იარაღის რეგისტრაციის მოწმობა და ამ პირისათვის სამსახურებრივი უფლებამოსილების დასადასტურებლად გადაცემული პირადობის მოწმობა. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სახელმწიფო ინსპექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განსაზღვრული თანამშრომელი ვალდებულია, განახორციელოს იარაღის ყოველმხრივი ვიდეოგადაღება, ვიდეოჩანაწერის შესაბამის მატარებელზე გადატანა და დალუქვა. დალუქული ვიდეოჩანაწერი ინახება იარაღთან ერთად, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირთან. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, „შემცვლელი ბარათი“ (ფორმა №9) დგება ერთ ეგზემპლარად, რომელშიც ჩამბარებელ პირად მიეთითება ამ პუნქტით გათვალისწინებული პირი და ის ობიექტური გარემოება, რის გამოც ვერ განხორციელდა თანამშრომლის მიერ იარაღის უშუალოდ ჩაბარება და ინახება სახელმწიფო ინსპექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ პირთან.

4. სახელმწიფო ინსპექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირი ვალდებულია უზრუნველყოს ჩაბარებული სამსახურებრივ-საშტატო იარაღის შენახვა ისეთ მდგომარეობაში და პირობებში, რომელშიც უზრუნველყოფილი იქნება მისი დაცვა და უსაფრთხოება, გამოირიცხება იარაღის გამოყენება და იარაღთან მესამე პირთა დაშვების შესაძლებლობა. „შემცვლელი ბარათი“ ინახება ჩაბარებულ სამსახურებრივ-საშტატო იარაღთან ერთად.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლების შეჩერების საფუძვლების აღმოფხვრისას თანამშრომელს უბრუნდება სახმსახურებრივ-საშტატო იარაღი.

6. სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლების შეჩერების პერიოდში თანამშრომლის თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში:

ა) თანამშრომლის საკუთრებაში არსებულ იარაღს ეხსნება სამსახურებრივ-საშტატო იარაღის სტატუსი ამ წესის მე-13 მუხლით დადგენილი წესით და იარაღი უბრუნდება თანამშრომელს.

ბ) სახელმწიფო ინსპექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირი უზრუნველყოფს სამსახურის ბალანსზე რიცხული სამსახურებრივ-საშტატო იარაღის დაბრუნებას საწყობში ამ წესის მე-4 მუხლით დადგენილი წესით.

7. ამ მუხლის მე-5 პუნქტისა და მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სამსახურებრივ-საშტატო იარაღის თანამშრომლისათვის დაბრუნებისას, ივსება „შემცვლელი ბარათის“ შესაბამისი ველი.

8. ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, „შემცვლელი ბარათის“ შესაბამის ველს ავსებს პასუხისმგებელი პირი.

9. შემცვლელი ბარათის შენახვაზე პასუხისმგებელია სახელმწიფო ინსპექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განსაზღვრული პირი ერთი წლის განმავლობაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მის დაარქივებამდე.

თავი IV. სამოქალაქო ან სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ჯილდოდ გადაცემა

მუხლი 19. სამოქალაქო ან სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ჯილდოდ გადაცემა

1. „სამოქალაქო ან სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ჯილდოდ გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 მარტის №241 დადგენილებით განსაზღვრული წესით, თანამშრომელს ან ფიზიკურ პირს სახელმწიფოს ან/და სამსახურის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის ან/და მიღწევებისათვის, სახელმწიფო ინსპექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით, შესაძლებელია ჯილდოდ გადაეცეს სამოქალაქო და სამსახურებრივ-საშტატო იარაღი (საბრძოლო მასალა და აღჭურვილობა).
2. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სარეგისტრაციო პროცედურების განხორციელებას უზრუნველყოფს დაჯილდოებული პირი, რის შემდგომაც ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული იარაღის გაცემას უზრუნველყოფს დეპარტამენტი.
3. იარაღის ჯილდოდ გადაცემის აღრიცხვას უზრუნველყოფს პასუხისმგებელი პირი „სამოქალაქო ან სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ჯილდოდ გადაცემის სარეგისტრაციო ჟურნალში“ (ფორმა №10).

თავი V. იარაღის ჩამოწერა

მუხლი 20. იარაღის ჩამოწერა

1. ჩამოწერას ექვემდებარება:
 - ა) გამოუსადეგარ (ზღვრულ) მდგომარეობამდე მიყვანილი ან დაკარგული იარაღი;
 - ბ) მოსამზადებელი და სავარჯიშო სროლის კურსის გავლისას (სასროლეთი, ტირი) გახარჯული საბრძოლო მასალა;
 - გ) სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების დროს გახარჯული საბრძოლო მასალა.
2. გამოუსადეგარ (ზღვრულ) მდგომარეობამდე მიყვანილი ან დაკარგული იარაღის ჩამოწერისას სამსახური ხელმძღვანელობს „გამოუსადეგარ (ზღვრულ) მდგომარეობამდე მიყვანილი ან დაკარგული იარაღის სამსახურის ბალანსიდან ჩამოწერა ხორციელდება „გამოუსადეგარ (ზღვრულ) მდგომარეობამდე მიყვანილი ან დაკარგული შეიარაღებისა და ტექნიკის, სამხედრო-ტექნიკური და საბრძოლო მასალების ნომენკლატურაში შემავალი და სხვა ქონების ჩამოწერისა და აღრიცხვიდან მოხსნის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 21 მარტის №197 ბრძანებულებით.
3. მოსამზადებელი და სავარჯიშო სროლის კურსის გავლისას (სასროლეთი, ტირი) გახარჯული საბრძოლო მასალის ჩამოწერა ხორციელდება „მოსამზადებელი და სავარჯიშო სროლის კურსის გავლისას (სასროლეთი, ტირი) გახარჯული საბრძოლო მასალის ხარჯვის უწყისის“ (ფორმა №11) საფუძველზე და გასროლილი ვაზნების მასრების წარდგენის შემთხვევაში.
4. სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების დროს გახარჯული საბრძოლო მასალის ჩამოწერა ხორციელდება ამ წესის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული თანამშრომლის სამსახურებრივი ბარათისა და გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) დასკვნის საფუძველზე.
5. იარაღის განადგურების, არაკანონიერი ან ნორმის ზევით გახარჯვის, თანამშრომლის მფლობელობიდან არამართლზომიერი გზით გასვლის, ვადაზე ადრე მწყობრიდან გამოსვლის ან დაკარგვის შემთხვევაში, იარაღი აღირცხება დანაკარგებისა და დანაკლისის (ზარალის) წიგნში (ფორმა №12), თანამშრომლის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.
6. თანამშრომლის მიერ იარაღის დაკარგვის ან განადგურების, ასევე თანამშრომლის მფლობელობიდან იარაღის არამართლზომიერი გზით გასვლის შემთხვევაში, იარაღის

ჩამოწერა ხორციელდება გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) დასკვნის გათვალისწინებით, თანამშრომლის მიერ ამ წესის მე-14 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურებისა და შესაბამისი დოკუმენტების სამსახურის ბუღალტრულ აღრიცხვაზე პასუხისმგებელ პირისათვის წარდგენის საფუძველზე.

თავი VI. თანამშრომლის განკარგულებაში არსებული სპეციალური საშუალებების შენახვის, ტარებისა და გამოყენების წესი

მუხლი 21. სპეციალური საშუალებების შენახვა

სამსახურის ბალანსზე რიცხული სპეციალური საშუალებების (შემდგომში – სპეციალური საშუალებები) შენახვას საწყობში უზრუნველყოფს დეპარტამენტი.

მუხლი 22. სპეციალური საშუალებების მიღება საწყობში

1. საწყობში სპეციალური საშუალებების მიღება ხორციელდება შემდეგ შემთხვევებში:

- ა) სამსახურის მიერ სპეციალური საშუალებების შესყიდვა;
- ბ) სამსახურის მიერ სპეციალური საშუალებების უსასყიდლოდ მიღება;
- გ) თანამშრომლის მიერ სპეციალური საშუალებების საწყობში დაბრუნება.

2. საწყობში სპეციალური საშუალებების მიღებისას ივსება „სპეციალური საშუალებების შემოსავლის ზედდებული“ (ფორმა №13). პასუხისმგებელი პირი შემოსავლის ზედდებულს ადგენს 2 ეგზემპლარად ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, რომელთაგან ერთი რჩება პასუხისმგებელ პირთან, ხოლო მეორე გადაეცემა სამსახურის ბუღალტრულ აღრიცხვაზე პასუხისმგებელ პირს. იმავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, პასუხისმგებელი პირი შემოსავლის ზედდებულს ადგენს 3 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა სპეციალური საშუალებების ჩამბარებელ თანამშრომელს, მეორე რჩება პასუხისმგებელ პირთან, ხოლო მესამე გადაეცემა სამსახურის ბუღალტრულ აღრიცხვაზე პასუხისმგებელ პირს.

3. „სპეციალური საშუალებების შემოსავლის ზედდებულის“ შევსებით სპეციალური საშუალებები ითვლება საწყობში მიღებულად.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების შემთხვევაში, სპეციალური საშუალებების საწყობში მიღება ხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. ამ შემთხვევაში, შემოსავლის ზედდებულში არ ივსება ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერის გრაფა. მიღება-ჩაბარების აქტის ერთი ეგზემპლარი ინახება შემოსავლის ზედდებულთან ერთად, პასუხისმგებელ პირთან.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში, სპეციალური საშუალებების საწყობში მიღება ხორციელდება თანამშრომლის ან მისი უშუალო ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე. სამსახურებრივი ბარათი ინახება შემოსავლის ზედდებულთან ერთად, პასუხისმგებელ პირთან.

მუხლი 23. სპეციალური საშუალებების გაცემა საწყობიდან

1. სპეციალური საშუალებების საწყობიდან თანამშრომელზე გაცემა ხორციელდება თანამშრომლის სამსახურებრივი საჭიროების გათვალისწინებით.

2. სპეციალური საშუალებების საწყობიდან გაცემა ხორციელდება თანამშრომლის ან მისი უშუალო ხელმძღვანელის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე. სამსახურებრივი ბარათი ინახება გასავლის ზედდებულთან ერთად, პასუხისმგებელ პირთან.

3. საწყობში სპეციალური საშუალებების გაცემისას ივსება „სპეციალური საშუალებების გასავლის ზედდებული“ (ფორმა №14). პასუხისმგებელი პირი გასავლის ზედდებულს ადგენს 3 ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა სპეციალური საშუალებების მიმღებ თანამშრომელს, მეორე რჩება პასუხისმგებელ პირთან, ხოლო მესამე გადაეცემა სამსახურის ბუღალტრულ აღრიცხვაზე პასუხისმგებელ პირს.

მუხლი 24. სპეციალური საშუალებების ინვენტარიზაცია

სპეციალური საშუალებების ინვენტარიზაცია ხორციელდება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანებით დადგენილი წესით.

მუხლი 25. სპეციალური საშუალებების ტარების უფლება

სპეციალური საშუალებების ტარების უფლება, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სამსახურებრივ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად, აქვთ სამსახურის შემდეგ თანამშრომლებს:

- ა) სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის კურატორ სახელმწიფო ინსპექტორის პირველ მოადგილეს/მოადგილეს;
- ბ) სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსსა და მის მოადგილეს;
- გ) სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის სამმართველოს უფროსს;
- დ) სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროს გამომძიებელს;
- ე) სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელს;
- ვ) სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის ოპერატიულ მუშაკს;
- ზ) სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის ექსპერტ-კრიმინალისტს.

სახელმწიფო ინსპექტორის 2020 წლის 25 აგვისტოს ბრძანება №8 – ვებგვერდი, 26.08.2020წ.

მუხლი 26. თანამშრომლის მიერ სპეციალური საშუალებების შენახვისა და ტარების წესი

1. თანამშრომელი პირადად არის პასუხისმგებელი სპეციალური საშუალებების დაცვისა და მოვლისათვის.
2. თანამშრომლის მიერ სპეციალური საშუალებების დაკარგვის, მისი მფლობელობიდან მართლსაწინააღმდეგო გზით გასვლის, ასევე სპეციალური საშუალებების განადგურების შემთხვევაში, თანამშრომელი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ შეატყობინოს სახელმწიფო ინსპექტორს, დეპარტამენტსა და გენერალურ ინსპექციას (დეპარტამენტი).
3. სპეციალური საშუალებების დაკარგვის ან განადგურების შემთხვევაში – თანამშრომლის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე, ასევე უფლებამოსილი ორგანოს მიერ სპეციალური საშუალებების თანამშრომლის მფლობელობიდან მართლსაწინააღმდეგო გზით გასვლის ფაქტის დაუდგენლობის შემთხვევაში, გენერალური ინსპექცია (დეპარტამენტი) ახორციელებს სამსახურებრივ შემოწმებას და ადგენს შესაბამის დასკვნას.
4. სპეციალური საშუალებების დაკარგვისას ან განადგურებისას თანამშრომლის ბრალეულობის დადასტურების შემთხვევაში, ასევე უფლებამოსილი ორგანოს მიერ სპეციალური საშუალებების თანამშრომლის მფლობელობიდან მართლსაწინააღმდეგო გზით გასვლის ფაქტის დაუდგენლობის შემთხვევაში, თანამშრომელი ვალდებულია აანაზღაუროს სამსახურისათვის მიყენებული ზიანი, რომლის ოდენობა განისაზღვრება შესაბამისი სპეციალური საშუალებების თავდაპირველი ღირებულებით.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ხარჯების ანაზღაურება ხორციელდება თანამშრომლის შრომის ანაზღაურებიდან ერთჯერადად ან მრავალჯერადად გამოქვითვით.

მუხლი 27. სპეციალური საშუალებების გამოყენების წესი

ამ წესის 25-ე მუხლით გათვალისწინებული თანამშრომელი სპეციალური საშუალებებს იყენებს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე, 31-ე, 33-ე (გარდა მე-3 პუნქტის „დ“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებისა და მე-6 პუნქტისა) და 35-ე მუხლებით დადგენილი წესით.

თავი VII. პასუხისმგებლობა ამ წესის მოთხოვნების დარღვევისთვის

მუხლი 28. პასუხისმგებლობა ამ წესის მოთხოვნების დარღვევისთვის

ამ წესის მოთხოვნების დარღვევა შესაძლებელია გახდეს თანამშრომლისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრების საფუძველი.

შემოსავლის ზედდებული № _____

_____ 20 წ.

საწყობში მიღებაზე პასუხისმგებელი პირი: _____

(სახელი და გვარი, თანამდებობა)

ვისგან: _____

(თანამშრომლის სახელი და გვარი, პირადი ნომერი, თანამდებობა) (ორგანიზაცია/დაწესებულება, რომლისაგანაც განხორციელდა იარაღის შესყიდვა/უსასყიდლოდ გადმოცემა)

(მიღების საფუძველი)

№	იარაღისა (ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა) და აღჭურვილობის დასახელება	იარაღისა (ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა) და აღჭურვილობის მახასიათებლები	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამური ღირებულება	შენიშვნა
1						
2						
3						
	სულ:					

მიიღო: _____

(ხელმოწერა)

ჩააბარა: _____

(ხელმოწერა)

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი:

_____ (ხელმოწერა)

საწყობის გასაღების მიღება-ჩაბარების ჟურნალი

№	გასაღების დალუქული ყუთის მიღების/ჩაბარების თარიღი	გასაღების დალუქული ყუთის მიმღების ხელმოწერა, რომლითაც მიმღები ადასტურებს ლუქის მთლიანობას	გასაღების დალუქული ყუთის ჩამბარებლის ხელმოწერა, რომლითაც ჩამბარებელი ადასტურებს ლუქის მთლიანობას
1			
2			
3			

საწყობის გასაღების დაკარგვის შემთხვევაში საწყობის კარის გახსნის აქტი

ჩვენ ქვემოთ ხელმომწერნი ვადასტურებთ, რომ 20 ____ წლის ____ _____ საათზე და ____ წუთზე დავესწართ საწყობის გასაღების დაკარგვის გამო საწყობის კარის გახსნას. ასევე, ვადასტურებთ, რომ:

- საწყობის კარის ლუქი არ არის დარღვეული
- საწყობის კარი ღიაა
- საწყობის კარი დაზიანებულია
- საწყობის კარის ლუქი დარღვეულია
- საწყობის კარი დაკეტილია
- საწყობის კარი დაუზიანებელია

საწყობის ზედაპირული დათვალიერებით საწყობში არსებული ვითარება: _____

პასუხისმგებელი პირი

გენერალური ინსპექციის
(დეპარტამენტი) თანამშრომელი

ეკონომიკური დეპარტამენტის
უფროსი

სახელმწიფო ინსპექტორის პირველი
მოადგილე ან ერთ-ერთი მოადგილე

/ _____ / / _____ / / _____ / / _____ /

გასავლის ზედდებული № _____

_____ 20 წ.

საწყობიდან გაცემაზე პასუხისმგებელი პირი: _____

(სახელი და გვარი, თანამდებობა)

ვისზე:

(სახელი და გვარი, პირადი ნომერი, თანამდებობა)

(გაცემის საფუძველი)

№	იარაღისა (ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა) და აღჭურვილობის დასახელება	იარაღისა (ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა) და აღჭურვილობის მახასიათებლები	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამური ღირებულება	შენიშვნა
1						
2						
3						
	სულ:					

ჩააბარა: _____ მიიღო: _____

(ხელმოწერა)

(ხელმოწერა)

ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი:

(ხელმოწერა)

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური

იარაღის (ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა) მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალი

დაიწყო _____ 20 წ.

დამთავრდა _____ 20 წ.

№	ჩანაწერის თარიღი	ოპერაციის დასახელება	შემოსავლის/ გასავლის ზედდებულის რეკვიზიტები	მოძრაობა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში			მათ შორის ირიცხება საწყობში				მათ შორის იმყოფება საგამოძიებო დეპარტამენტში				მათ შორის იმყოფება საგამოძიებო დეპარტამენტის აღმოსავლეთის სამმართველოში				მათ შორის იმყოფება საგამოძიებო დეპარტამენტის დასავლეთის სამმართველოში				მათ შორის იმყოფება საგამოძიებო დეპარტამენტის ოპერატიულ სამმართველოში				სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შეიარაღებაში არსებული იარაღის ჯამი	
				შემოსული	გასული	ნაშთი				სულ																		
1																												
2																												
3																												

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის თანამშრომლის საკუთრებაში არსებული იარაღისთვის სამსახურებრივ-საშტატო იარაღის სტატუსის მინიჭება-მოხსნის ჟურნალი

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის თანამშრომლის საკუთრებაში არსებული იარაღისთვის სამსახურებრივ-საშტატო იარაღის სტატუსის მინიჭება

№	თარიღი	გვარი, სახელი, პირადი ნომერი	სამსახურებრივ-საშტატო იარაღის სტატუსის მინიჭების ბრძანება	ცეცხლსასროლი იარაღის დასახელება, სერია, ნომერი და დამზადების წელი	მჭიდი	ვაზნა	შსს-ში იარაღის რეგისტრაციის მოწმობის რეკვიზიტები	შენიშვნა
1								
2								
3								

სამსახურის თანამშრომლის საკუთრებაში არსებული იარაღისთვის სამსახურებრივ-საშტატო იარაღის სტატუსის მოხსნა (დროებით აღრიცხვაზე აყვანიდან მოხსნა)

№	თარიღი	გვარი, სახელი, პირადი ნომერი	იარაღის დროებითი აღრიცხვიდან მოხსნის შესახებ ბრძანება	ცეცხლსასროლი იარაღის დასახელება, სერია, ნომერი და დამზადების წელი	მჭიდი	ვაზნა	შსს-ში იარაღის რეგისტრაციის მოწმობის რეკვიზიტები	შენიშვნა
1								
2								
3								

შემცველი ბარათი № __
_____ 20 წელი

გაიცა _____

(სახელი და გვარი, პირადი ნომერი, თანამდებობა)

მასზედ, რომ

(სახელი და გვარი, პირადი ნომერი, თანამდებობა)

მისგან ჩაიბარა

(ცეცხლსასროლი იარაღის დასახელება, სერია, ნომერი და დამზადების წელი)

ვაზნები _____ ც. მჭიდები _____ ც. ობიექტური გარემოება, რის გამოც ვერ განხორციელდა უშუალოდ
თანამშრომლის მიერ იარაღის ჩაბარება _____

იარაღის ჩაბარების თარიღი და დრო

იარაღის თანამშრომლისათვის უკან დაბრუნების/საწყობში დაბრუნების
თარიღი და დრო

მიმღების ხელმოწერა _____

მიმღების ხელმოწერა _____

ჩამბარებლის ხელმოწერა _____

ჩამბარებლის ხელმოწერა _____

მოსამზადებელი და სავარჯიშო სროლის კურსის გავლისას (სასროლეთი, ტირი) გახარჯული საბრძოლო მასალის ხარჯვის უწყისი

№	სახელი, გვარი ვისზე გაიცა საბრძოლო მასალა	გაცემული საბრძოლო მასალის დასახელება	გაცემული საბრძოლო მასალის რაოდენობა და განზომილება	საბრძოლო მასალის მიღებაზე ხელმოწერა	ჩაბარებული საბრძოლო მასალის დასახელება და რაოდენობა			საბრძოლო მასალის მიღებაზე ხელმოწერა
					გაუხარჯავი ვაზნები	გამტყუნებული ვაზნები	გასროლილი ვაზნების მასრები	
1								
2								
3								
	სულ გაიცა:			დაბრუნდა:				
	გაიხარჯა:							

ვადასტურებ გახარჯული საბრძოლო მასალის რაოდენობას მომზადების ხელმძღვანელი

გახარჯვაზე უფლებამოსილი თანამშრომლის ხელმოწერა

დანაკარგებისა და დანაკლისის (ზარალის) წიგნი

№	ჩანაწერის გაკეთების თარიღი	ცეცხლსასროლი იარაღის დასახელება, სერია, ნომერი და დამზადების წელი	მჭიდი/რ აოდენობ ა	ვაზნა/რ აოდენ ობა	სტატუსი (განადგურება, არაკანონიერი ან ნორმის ზევით გახარჯვა, ძარცვა-დატაცება, ვადაზე ადრე მწყობრიდან გამოსვლა ან დაკარგვა)	თანამშრომელი (სახელი და გვარი, პირადი ნომერი), რომლის განკარგულებაშიც იყო იარაღი და აღჭურვილობა	გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) დასკვნის ნომერი და თარიღი	შენიშვნა
1								
2								
3								

სპეციალური საშუალებების შემოსავლის ზედდებული № _____

საწყობში მიღებაზე პასუხისმგებელი პირი: _____

(სახელი და გვარი, თანამდებობა)

ვისგან: _____

(სახელი და გვარი, პირადი ნომერი, თანამდებობა)

(მიღების საფუძველი)

№	სპეციალური საშუალების დასახელება	სპეციალური საშუალების მახასიათებლები	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამური ღირებულება	შენიშვნა
1						
2						
3						
	სულ:					

მიიღო: _____

(ხელმოწერა)

ჩააბარა: _____

(ხელმოწერა)

_____ 20 წ.

საწყობიდან გაცემაზე პასუხისმგებელი პირი: _____

(სახელი და გვარი, თანამდებობა)

ვისზე:

(თანამშრომლის სახელი და გვარი, პირადი ნომერი, თანამდებობა)

(გაცემის საფუძველი)

№	სპეციალური საშუალების დასახელება	სპეციალური საშუალების მახასიათებლები	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამური ღირებულება	შენიშვნა
1						
2						
3						
	სულ:					

ჩააბარა: _____

(ხელმოწერა)

მიიღო: _____

(ხელმოწერა)